

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII  
თბილისი. 2021

## რეცენზია

ელენე გოგიაშვილი  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

### რეცენზია წიგნზე

ანა ჭეიშვილი, ანა მარგველაშვილი. ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკა-  
სიაში. თბილისი: „გამომცემლობა ვაზი“, 2020, 155 გვ.  
ISBN – 978-9941-8-2399-2

სამოგზაურო ლიტერატურა ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის ყოველ-  
მხრივ საინტერესო საკვლევი სფეროა. მოგზაურობის აღწერა და მოგზაურთა  
დღიურები ერთდროულად შეიძლება იყოს დარგობრივი რაპორტიც, ეთნოგრა-  
ფიული მასალაც და ლიტერატურული უანრიც. ლიტერატურათმცოდნებოთვის სამოგზაურო წიგნი წარმოადგენს წყაროს მოგზაურობის ისტორიისა და სა-  
მოგზაურო უანრის თავისებურებების შესასწავლად, ანთროპოლოგთათვის –  
სამყაროს სურათის აღქმის ქრონიკას სხვადასხვა ეპოქაში. სხვადასხვა სა-  
მეცნიერო დისციპლინის ინტერესთა გადაკვეთის წერტილები ნათელს ჰქონის კულტურულ დირებულებათა ჩამოყალიბების საფუძვლს. ისმის ისეთი საკით-  
ხები, როგორიცაა: სხვადასხვა კულტურათა შორის დირებულებათა თანხვედ-  
რა და დაპირისპირება, ტექსტების აღმოჩენა ინტერკულტურული შედარების თვალსაზრისით, განსხვავებული სამეცნიერო დარგების გამოცდილებათა გაზი-  
არება ტექსტის ინტერპრეტაციისას.

ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილის წიგნი „ემილ ლევიეს მოგზა-  
ურობა კავკასიაში“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოცემაა. XIX საუკუნის  
ბოლოს ევროპელ მეცნიერთა კავკასიაში მოგზაურობის ამსახველ წერილებ-  
თან ერთად წიგნი მოიცავს ვრცელ გამოკვლევას იტალიელი ბოტანიკოსებისა  
და ანთროპოლოგების – ემილ ლევიესა და სტეფან სომიეს 1890 წელს ჩა-  
ტარებული ექსპედიციის შესახებ.

1894 წელს ურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა ემილ ლევიეს წერილე-  
ბის ქართული თარგმანი, რომლის დედანიც იყო შვეიცარიული კრებული

“Bibliothèque universelle et Revue suisse”. ანა ჭეიშვილმა და ანა მარგველაშვილმა ამ თარგმანის კვალდაკვალ აღმოჩენილ სხვა ევროპულ პუბლიკაციებზე და საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოადგინეს ფუნდამენტური ნარკვენი, რომელშიც შედის:

- 1) ემილ ლევიესა და სტეფან სომიეს ბიოგრაფიები,
- 2) ინფორმაცია მათ კონსულტანტებზე და კავკასიოთ დაინტერესებულ სხვა ევროპელ მეცნიერებზე,
- 3) 1890 წლის ექსპედიციისთვის მზადების, მარშრუტის შედგენისა და მოგზაურობის ის დეტალები, რომლებიც არ შესულა გამოქვეყნებულ წერილებში,
- 4) სტეფან სომიეს ანთროპოლეტრიულ კვლევებში მონაწილე პირთა სია (ჩოლურის, ლენტეხის, ბერისა და მულახის მკვიდრი მოსახლეობა)
- 5) ბიბლიოგრაფიული მონაცემები,
- 6) ემილ ლევიეს დაკარგული დღიურის ისტორია,
- 7) სტეფან სომიეს ფოტოკოლექციის აღილსამყოფელის დადგენა,
- 8) ბოტანიკური კოლექციის განსაკუთრებული ექსპონატების აღწერა,
- 9) ქართველ მთარგმნელთა კონაობის გარკვევა (ნოე უორდანია და კონსტანტინე ბაქრაძე),
- 10) იტალიაში დაბრუნებულ მოგზაურთა შემდგომი ცხოვრების ეპიზოდები და სხვა არაერთი საინტერესო საკითხი.

რეცენზიის დაწერა ისეთ ნაშრომზე, როგორიც არის ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილის „ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში“, ურთულესი ამოცანაა და სრულყოფილი ვერ იქნება მხოლოდ ერთი სამეცნიერო დარგის პერსპექტივიდან. აჭარაში, სვანეთში, კოდორის ხეობასა და ჩერქეზეთში მოგზაურობის ჩანაწერები ერთდროულად გეოგრაფიულ, ანთროპოლოგიურ, ბოტანიკურ, ეთნოგრაფიულ აღწერებს შეიცავს და მათი განხილვა მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში არის შესაძლებელი. სამომავლოდ ეს წიგნი მრავალი მკვლევარს მიიჩიდავს, თუმცა ამჯერად მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლებით და ყურადღებას ახალგაზრდა მკვლევარი ქალების – ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილის მიერ გაწეულ შრომას დავუთმობთ.

ევროპელი მოგზაურების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას წიგნის წინასიტყვაობიდან ვეცნობით. ემილ ლევიეს წიგნი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზამკვლევი იყო მისი თანამედროვეთათვის კავკასიაში მოგზაურობისას. სტე-

ფან სომიე იტალიის ბოტანიკოსთა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ხელმძღვანელი იყო. ამავე საზოგადოების წევრი იყო ემილ ლევიე. სომიეს კოლექციებმა გამდიდრა ეპროპის მრავალი მუზეუმი და სამეცნიერო ცენტრის პერბარიუმი. სომიეს სამეცნციერო მემკვიდრეობა 170-მდე პუბლიკაციას მოიცავს ბოტანიკის, გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის შესახებ (ეს ბიბლიოგრაფია ერთვის ნაშრომს).

კავკასიაში ლევიესა და სომიეს ექსპედიცია მოელ ზაფხულს მიმდინარეობდა, თოთქმის 4 ოვე – 15 ივნისიდან 30 სექტემბრამდე. სვანეთში, აფხაზეთსა და ჩრდილოკავკასიაში მოგზაურებს ახლდათ ადგილობრივი გამცილებლები. ექსპედიცია რიონის ქვედა წელიდან დაიწყო და ყუბანის ხეობამდე გაგრძელდა.

ანა ჭეიშვილმა და ანა მარგველაშვილმა სომიეს არქივში დაცული ხელნაწერით აღადგინეს 1890 წელს კავკასიაში მოგზაურობის მარშრუტი იმ დეტალებით, რომლებიც ლევიეს პუბლიკაციაში არ შესულა.

ემილ ლევიესა და სტეფან სომიეს მიერ კავკასიაში 1890 წლის ექსპედიციის მომზადების, მსვლელობისა და მომდევნო უტაპების შესახებ სრული ინფორმაცია მკვლევრებმა ფლორენციის უნივერსიტეტის ბოტანიკის ბიბლიოთეკაში დაცული საარქივო მასალებიდან მოიპოვეს. მათ ადგილზე შეისწავლეს ლევიესა და სომიეს არქივები, გაშიფრეს კორესპონდენციები, დამუშავეს ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, გერმანულ და რუსულ ენებზე დაწერილი ათეულობით წერილი და საფოსტო ბარათი. სწორედ ეს მიმოწერა აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოგზაურობის ყველა ეტაპის შესასწავლად და იმ პროცესის წარმოსაჩენად, რაც იტალიაში დაბრუნებული მეცნიერების პუბლიკაციებსა და კოლექციების დამუშავებას ახლდა.

ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილის წყალობით, ფლორენციაში დაცული კორესპონდენციიდან ვიგებთ, როგორ ემზადებოდნენ ევროპელი მეცნიერები კავკასიაში მოგზაურობისთვის, ეცნობოდნენ სამეცნიერო ლიტერატურას, მარშრუტის შედგენასა და ცნობების შეგროვებაში დახმარებას სოხოვლენენ კოლეგებს, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შვეიცარიელი ბოტანიკოსი ეჟენ ოტრანი და გერმანელი გუსტავ რადე – გერმანელი ბუნებისმეტყველი, მოგზაური, გეოგრაფი, ნატურალისტი და ეთნოგრაფი, კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. ემილ ლევიეს შესახებ პირველი რეცენზია სწორედ გუსტავ რადეს გამოუქვეყნებია

გერმანულენვან პერიოდიკაში “Petermanns Geographische Mitteilungen” 1895 წელს:

„ლევიეს წიგნი, განსაკუთრებით კი ის ნაწილები, რომელებიც სვანეთი-სა და აფხაზეთის მთიანეთის და იალბუზის აღწერას შეეხება, დიდი მნიშვნელობისაა, როგორც ალპინისტებისთვის, ასევე ბოტანიკოსებისთვის. რაც შეეხება წიგნის ლიტერატურულ ღირებულებას, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თხრობის ავტორისეული სტილი გასაგები და ელეგანტურია; ისტორიები ცოცხლად და მოქნილად არის აღწერილი; მახვილგონივრული შეფასებები, სათანადო შედარებები, ციტატები, ასევე იუმორი და ბუნების ზეპოვტური აღქმები მარშრუტის მიმდინარეობის აღწერისას სასიამოვნოდ ენაცვლება ერთმანეთს. მდიდარ მასალას წარმოადგენს ასევე ბოტანიკური და კვირვებები“ (გვ. 34).

ქვლევარი ქალების დამსახურებით, ახლა ჩვენთვისაც ცნობილი გახდა, თუ როგორ წაიკითხა გუსტავ რადემ ბორჯომში დიდ მთავარ მიხეილ რომანოვთან სტუმრობისას ლევიეს წიგნი და როგორ მისწერა სტეფან სომიეს აღფრთოვანებული ემოციებით სავსე წერილი. რადე წერდა, განსაკუთრებით იმ მთიანი რეგიონების აღწერა მომეწონა, სადაც ოვითონ ვყოფილვარ და მცენარეები შემიგროვებია 1864-65 წლებში. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ გუსტავ რადეს ემილ ლევიესა და სტეფან სომიესთან ექსპედიციამდეც ჰქონდა მიმოწერა, აწვდიდა ცნობებს კავკასიაში მოგზაურობისთვის საჭირო დეტალებზე, ექსპედიციის მარშრუტსა თუ სამგზავრო ხარჯებზე.

ემილ ლევიეს „პავკასიაში მოგზაურობაში“ შვეიცარიაში გამოქვეყნებისთანავე დიდი დაიდი დაინტერესება გამოიწვია ევროპელ მოგზაურებში. ლევიე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ტექსტს. ცდილობდა, საინტერესო ყოფილიყო ფართო მკითხველისთვის – ბოტანიკოსებისთვისაც და მათოვისაც, ვისაც უბრალოდ ამბები აინტერესებდა. ფრანგი არქეოლოგი და ანთროპოლოგი ერნესტ შანტრი, უნგრელი გეოლოგი, გეოგრაფი და ალპინისტი მორის დე დეში, გერმანელი ბოტანიკოსი ადოლფ ენგლერი მადლობას უხდიდნენ და შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ემილ ლევიეს. მათი წერილები ლევიესა და სომიეს არქივებშია დაცული და ახლა უკვე ჩვენც გავეცანით მათ ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილის წყალობით.

ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილი რომ არა, არ გვეცოდინებოდა იმ ორი ადამიანის არაჩეულებრივი მიმოწერის შესახებ, რომელიც კავკასიაში მოგზაურობის ამსახველი უძირფვასესი მასალის გარდა ოვითონ მოგზა-

ურთა კეთილშობილ, ემოციურ, ცოცხალ, იუმორით სავსე შინაგან სამყაროს გვიშლის და მათი მოგზაურობის თანამონაწილედ გვხდის.

აქვე უნდა აღინიშნოს მკვლევართა მოწიწებული დამოკიდებულება ემილ ლევიეს წიგნის ძველი ქართული თარგმანისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ეს თარგმანი სრული არ არის, მათ აუცილებლად მიიჩნიეს XIX საუკუნის ტექსტის ხელახალი გამოქვეყნება: „ჩვენ გვსურდა საუკუნეზე მეტი წის მთარგმნელების მიერ გაწეული შრომა არ დაკარგულიყო, რაღაც ახალი თარგმანის გამოქვეყნების შემთხვევაში ძველი უკვე ადარ მიიქცევდა თანამედროვე მკითხველის ყურადღებას“ (გვ. 40).

დღევანდვლ მეცნიერებაში კულტურის, როგორც ტექსტის განხილვა ნიშნავს საერთო ველის განსაზღვრას, რომელიც მხოლოდ ინტერდისკიპლინურად უნდა დამუშავდეს: კულტურა არის სფერო, რომელიც, ტექსტის მსგავსად, წაკითხვა-გაზრების სხვადასხვა ვერსიას იწვევს. ამ თვალსაზრისით, უმიღ ლევიეს „მოგზაურობა კავკასიაში“ მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. არანაკლები მნიშვნელობის მქონეა ის კორესპონდენცია, რომელიც ამ წიგნთან არის დაკავშირებული და რომელიც სრულყოფილ სურათს დავინახავთ იმ შთაბეჭდილებებისა, რაც ემიღ ლევიეს კავკასიიდან გაჰყვა ევროპაში. ვიმედოვნებთ, ანა ჭეიშვილისა და ანა მარგელაშვილის პროექტის შემდგომი ეტაპი ემიღ ლევიესა და სტეფან სომიეს წერილების ქართულ ენაზე პუბლიკაციით გაგრძელდება და ახალ ინტერესს გააღვივებს ინტერდისკიპლინური კვლევებისათვის.